საქართველოს მთავრობის

დადგენილება №477

2012 წლის 24 დეკემბერი

ქ. თბილისი

„ჯანმრთელობის დაზღვევის სახელმწიფო პროგრამების ფარგლებში 0-5 წლის (ჩათვლით) ასაკის ბავშვების, 60 წლის და ზემოთ ასაკის ქალების და 65 წლის და ზემოთ ასაკის მამაკაცების (საპენსიო ასაკის მოსახლეობა), სტუდენტების, შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ბავშვთა და მკვეთრად გამოხატული შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა ჯანმრთელობის დაზღვევის მიზნით გასატარებელი ღონისძიებებისა და სადაზღვევო ვაუჩერის პირობების განსაზღვრის შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2012 წლის 7 მაისის №165 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

მუხლი 1

„ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, „ჯანმრთელობის დაზღვევის სახელმწიფო პროგრამების ფარგლებში 0-5 წლის (ჩათვლით) ასაკის ბავშვების, 60 წლის და ზემოთ ასაკის ქალების და 65 წლის და ზემოთ ასაკის მამაკაცების (საპენსიო ასაკის მოსახლეობა), სტუდენტების, შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ბავშვთა და მკვეთრად გამოხატული შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა ჯანმრთელობის დაზღვევის მიზნით გასატარებელი ღონისძიებებისა და სადაზღვევო ვაუჩერის პირობების განსაზღვრის შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2012 წლის 7 მაისის №165 დადგენილებაში (www.matsne.gov.ge, 08/05/2012, 290160000.10.003.016838) შეტანილ იქნეს ცვლილება და დადგენილებით დამტკიცებული დანართი №5 – „სამედიცინო (სადაზღვევო) რაიონი საინვესტიციო ვალდებულებით, ინვესტორები, საინვესტიციო მოცულობები და ინვესტიციის განხორციელების ვადები“ – ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

№	სამედიცინო (სადაზღვევო) რაიონი	ინვესტორი	მინიმალური საწოლფონდი	დასრულების ვადა
1	ხარაგაული	შპს დაზღვევის საერთაშორისო კომპანია „ირაო“	5	01.09.2013
2	ახალციხე	სს საერთაშორისო სადაზღვევო კომპანია „იმედი ელ ინტერნეიშენალი“	50	01.12.2013
3	ნინოწმინდა	სს საერთაშორისო სადაზღვევო კომპანია „იმედი ელ ინტერნეიშენალი“	25	01.09.2013
4	ყაზბეგი (გუდაური)	სს სადაზღვევო კომპანია „ჯიპიაი ჰოლდინგი“	გადაუდებელი სამედიცინო დახმარების პუნქტი	01.09.2013
5	ლანჩხუთი	შპს „სადაზღვევო კომპანია ალფა“	20	01.09.2013
6	ჩოხატაური	შპს „სადაზღვევო კომპანია ალფა“	5	01.09.2013

7	დედოფლისწყარო	სამედიცინო დაზღვევის ჯგუფი სს „არქიმედეს გლობალ ჯორჯია“	15	01.09.2013
8	ქარელი	შპს სადაზღვევო კომპანია „აისი ჯგუფი“	20	01.09.2013
9	ვანი	სს სადაზღვევო კომპანია „ჯიპიაი ჰოლდინგი“	5	01.09.2013
10	ასპინძა	სს საერთაშორისო სადაზღვევო კომპანია „იმედი ელ ინტერნეიშენალი“	5	01.09.2013
11	ლენტეხი	შპს სადაზღვევო კომპანია „აისი ჯგუფი“	5	01.09.2013
12	ახალქალაქი	სს საერთაშორისო სადაზღვევო კომპანია „იმედი ელ ინტერნეიშენალი“	35	01.09.2013

მუხლი 2
დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

პრემიერ-მინისტრი **ბიძინა ივანიშვილი**